68

საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი

№ 37
თებერვლის 14, პარასკევი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 37
თებერვლის 14, პარასკევი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულების გამო შემდეგი №-რი გამოვა სამშაბათს, 18 იანვარს.

პირველ თებერვლიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია"
ჰღირს 9 მანეთი და 50 კაპ.

კონსტანტინე იოსების ძე და თამარ ვასილის ასული ჯაფარიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელის შვილის

**აჩიკოსას**

სთხოვენ მობრძანდნენ შაბათს დილის 10 საათზე ქვაშვეთის წმ გიორგის ეკლესიაში, საიდანაც ცხედარს გასვენებენ კუკიის სასაფლაოზე დასაკრძალავად.

კავკასიის ნატურალური კონიაკი
**დ. ზ. სარაჯიშვილისა**
ტფილისში

საწყობნი: ს.-პეტერბურგს, მოსკოვს და ვარშავას. უმთავრესი კანტორა ტფილისში, ოლგის ქუჩა, საკუთარი სახლი. (50—6—6)

**სამკერვალო**
ქალთა ტანისამოსისა.
ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად
ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად
**კაბა-ანაფორა**
და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი, წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ქართველ ქალთა ამხანაგობის
**სამკერვალოში**
მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ე ქ ი მ ი
**ვ. ღამბაშიძე**
იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ღამბაშიძე**—შინაგანი: 9—10.

**ა. ბ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

**კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. ზ. ბარსუკოვი**—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—საათ.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

**ზრ. ვ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

**პირველი კერძო სამკურნალო**
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ძ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**ნ. ს. ლუბეცკი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბაკინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

## ტფილისი

◆ ხვალ ქალაქის სადგურში დანიშნულია ქალაქის საქმეთა სარევიზიო კომისიის წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს ქალაქის გამგეობის 1901 წლის ანგარიში.

◆ ხვალ დანიშნულია იმ კომისიის წევრთა კრება, რომელსაც მინდობილი აქვს სათივეებისა და საქონლის სადგომების დამართვის საქმე; კომისიამ უნდა განიხილოს, თუ რამდენი დაიხარჯება ამის მომართვაზედ და რანაირად შეიძლება გაადაკილდეს ამის მოწყობა.

◆ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება დანიშნულია მომავალ სამშაბათისთვის.

◆ განსვენებულის დიდის მთავრინას ოლგა თეოდოროვნას ასულის სახელობაზედ ძეგლის ამგებ კომისიის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა ინჟინერი ლენჩოვსკი.

◆ როგორც გადმოგვცეს, მომავალ დიდმარხვას ქართული დრამატიული დასი კვლავ განაგრძობს წარმოდგენების გამართვას; დასს ამხანაგობა შეუდგენია, ხოლო საქმის წარმოება მიუნდვიათ ბ-ნ გუნიასათვის.

◆ ყური მოვკარით, რომ აღდგომის შემდეგ ტფილისში ჩამოვა მალოროსიული დასი სუსლოვისა და კროპივნიცკისა; წარმოდგენებს გამართვენ სათავად-აზნაურო თეატრში.

◆ მესტამბე ვართანოვმა იკისრა წლის განმავლობაში ქალაქის გამგეობისთვის ბეჭდოს საჭირო ბლანკები და საბჭოს ოქმები.

◆ რადგანაც ფოთის საპყრობილეში პატიმართა შორის სახადი აღმოჩენილა, ამიტომ, ტფ. გუბ. მმართველობის მიწერილობის თანახმად, ქუთაისის გუბერნატორმა გასცა ბრძანება, შეჩერებულ იქნეს პატიმართა გაგზავნა ფოთიდგანაო.

◆ გუშინწინ ქალაქის გამგეობაში მოხდა ქალაქის ხორცის დუქნების მომწესრიგებელ კომისიის წევრთა კრება; კომისიამ ხელმეორედ აღძრა ლაპარაკი სარაჯევის წინადადებაზედ; დიდის ხნის კამათის შემდეგ, გარდასწყვიტა მიიღოს სარაჯევის წინადადება: სარაჯევმა უნდა ჩამორეკოს საკლავი საქონელი ქალაქის საყასბოში და დაკლული საქონლის ხორცი მიიწონოს კომისიამ ფუთი 3 მანეთად; ხოლო თითო ტყავი ეთმობა ქალაქს 4 მან. და ათ შაურათ; დაკლული საქონლის თავი და ფეხი ეთმობა კომისიას უფასოდ; თუ რა ხელსაყრელია კომისიისთვის ეს პირობა, აქედგან ადვილათ წარმოსადგენია, რომ თითო თავიდგან ქალაქი არა ნაკლებ ერთს მანეთს იგებს, რადგანაც საქონლის ენა ბაზარში ისყიდება 25 — 40 კაპეიკათ; მეორეც ეს, როგორც უკვე წინიდგან აღმოჩნდა, რუსეთის საქონლის სუკი უდრის 8—10 გირვანქას, მაშინ, როცა შიდა კავკასიის საქონლისა 6—$8^1/_2$ არ აღემატება და სარაჯიშვილმა-კი რუსეთიდამ უნდა მორეკოს საქონელი. ერთის წლის ვადით ხელშეკრულობას გუშინ უკვე ხელი მოაწერეს სარაჯევის წარმომადგენელმა და ქალაქის ხორცის დუქნების გამგემ.

◆ რადგანაც ამ ბოლოს დროს თოვლისა და სიცივეებისა გამო ქალაქს ძრიელ გაუძნელდა საკლავის საქონლის შეძენა და სამ ხორცის დუქანსაც ძლივს აწვდიდნენ ხორცს, ამიტომ ვერაზედ ხორცის დუქნის გახსნის საქმე აქამომდე ფერხდებოდა; ამ ჟამათ ვერაზედ ხორცის დუქნის შენობა უკვე მზათ არის და დუქნების გამგეს იმედი აქვს ვერის დუქანმაც მალე დაიწყოს მუშაობა.

◆ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამ რამდენისამე ხნის წინათ ყარა-მურზამ მიართვა გამგეობას 7 განცხადება და აუწყებდა რომ სხვა საჭიროებათა შორის, დიდუბეში მცხოვრებთათვის კარგი იქნება ქალაქმა ხორცის დუქანი გახსნასო; ქალაქის თავს განზრახვა აქვს ეს განცხადება შეიტანოს საბჭოს კრებაზედ განსახილველად და სთხოვოს, რომ საბჭომ ნება დართოს კომისიას დიდუბეში დუქნის გახსნისა.

◆ ტფილისის საყასბოს გამგე ბეითალი ბ-ნი კანცელმახერი, ამ დღეებში დაბრუნდა პეტერბურგიდგან ტფილისში, სადაც იგი გაგზავნილი იყო ქალაქის გამგეობისაგან რუსეთის ბეითალთა კრებაზედ წარმომადგენელად; კანცელმახერსვე დავალებული ჰქონდა დაეთვალიერებინა რუსეთის უმთავრეს ქალაქების საყასბოები და ყველა ამაზედ წარედგინა მოხსენება გამგეობისათვის; როგორც შევიტყეთ, ბ-ნ კანცელმახერი ამ ცოტა ხანში წარადგენს გამგეობაში მოხსენებას.

◆ ვის არ ახსოვს 1901 წელს კავკასიის საიუბილეო გამოფენას რა რიგ ამშვენებდნენ ბბ. სარაჯევისა და ადელხანოვისაგან აგებული პავილიონები; ეს პავილიონები-კი უფრო იმითი იყო საყურადღებო, რომ შიგ ეწყო სხვა-და-სხვა საგნები, რომლებიც დიდის ხელოვნებითა და ცოდნით იყო დამზადებული; ამ ღირსებათა დასაჯილდოვებლად, გამოფენის ხაექსპერტიზო კომისიამ, სარაჯევი და ადელხანოვი, როგორც უმაღლეს ჯილდოს ღირსნი, წარადგინა მთავრობის წინაშე და სთხოვა ამათი ფირმები დასაჩუქრებულ ყოფილიყვნენ სახელმწიფო ღერბით. ამ რამდენიძე დღის წინად კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიამ აუწყა სამეურნეო საზოგადოებას, რომ კავკასიის მთავარ-მართებელმა შეუძლებლად სცნო სახელმწიფო ღერბით სარაჯევისა და ადელხანოვის ქარხნების დაჯილდოვებაო.

◆ ტფილისში ავსტრია-უნგრეთის კონსულმა მიმართა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას და აუწყა, რომ ამ წელს ვენაში ავსტრიელი მეფუტკრეები გამართავენ საერთა-შორისო მეფუტკრეობის გამოფენას და გთხოვთ აცნობოთ კავკასიაში მეფუტკრეებსა და მემამულეებსაო.

◆ ორშაბათიდგან ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია ბათუმში დაიწყებს სხვა-და-სხვა საყურადღებო საქმეთა გარჩევას; სხვათა შორის, სესია გაარჩევს ბათუმში როტშილდის ქარხნებში მუშათა მოხდარ არეულობის საქმეს.

◆ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ 120 ებრაელთა ოჯახმა, დროებით კავკასიაში მცხოვრებლებმა, განიზრახეს შუამდგომლობა აღძრან მთავრობის წინაშე, რომ მათ ნება მიეცეს სამუდამოდ კავკასიაში დასახლებისა; ამ საქმის დაბოლოვება მიანდეს საგანგებოდ ამორჩეულ დეპუტაციას, რომელიც უკვე ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება.

◆ როგორც სურამიდგან გვატყობინებენ, იქ ისეთი დიდი თოვლი მოსულა, რომ მეზობელი მეზობელთან ძლივს მიდის; მატარებლის გზას სურამსა და ხაშურს შუა მუშები ყოველ დღე სწმენდავენ, მაგრამ ზოგჯერ ისინიც ველარ ასდიან საქმეს და მატარებლის მისვლა-მოსვლა ბრკოლდება.

◆ ერთს უცნაურ ამბავს გვატყობინებენ: ქართულ წიგნთა გამომცემელ ამხანაგობის წიგნის ფარდულების მეთვალყურედ დაუნიშნავთ ერთი პირი ტომით სომეხი, რომელმაც, როგორც ამბობენ, ქართული არ იცის, ერთ მშვენიერ დღეს ეს პირი მისულა წიგნების საწყობ ფარდულში და უბრძანებია: მე ქართულისა არაფერი მეყურება და ამიტომ დღეი იქით წიგნების სია და დავთრები რუსულად აწარმოვეთო.

◆ ქუთაისიდგან გვატყობინებენ, რომ ინ დგ. ჯორჯაძე, რომელიც მძიმე ავადმყოფი იყ და ექიმებმა თითქმის ხელი აიღეს, ამ ჟამა უკეთ არისო.

—

**ქალაქის საბჭოს კრება.** გუშინ-წინ, ოთხშაბათს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, ქალაქი თავის მოადგილის მ. ს. შესტაკოვის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდათ ქალაქის საბჭოს წევრთ. ბ-ნმა შესტაკოვმა მოახსენა კრებას, უნდა ავირჩიოთ განსაკუთრებული კომისი და მივანდოთ ქალაქის ტრაქტირებისა და დუქნების თვალყურის დევნება და ტრაქტირების ყოველივე საქმის მოწესრიგებაო. დასახელებულ იქმნენ კომისიის წევრნი, რომელთაც კრების დასრულების შემდეგ, კენჭი უყარეს კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ი. ო გურგენბეკოვი, ა. ბ. ევანგულოვი, მ. ზ. ქანანოვი, ნ. მ. ყარა-მურზა, გ. ა. ქიუჩარიან ცი, მ. ი. სვეშნიკოვი, მ. ლ. სოსინი, ი. ა სულხანოვი და ნ. ა. ხუდადოვი.

ბ-ნმა შესტაკოვმა ამის შემდეგ მოახსენ კრებას, წიგნების ბეჭდვის 200 წლის იუბი ლე შესრულდა, ყველამ ღირსეულად იდღ სასწაულა ეს მართლაც რომ დიდებული დღ ჩვენ-კი არაფრით არ აღვინიშნავსო; ამოვირ ჩიოთ კომისია და მივანდოთ შემუშავება პრო ექტისა ამ საგნის შესახებაო.

მაშინვე დასახელებულ იქმნენ წევრნი, რო მელთაც კრების შემდეგ ყუთი დაუდგეს. კო მისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ს. ი. ან ნოვი, პ. ნ. ღოლუხანოვი, რ. ა. იონისი ნი, ვ. ს. მიქელაძე და გ. თუმანიშვილი.

ამავე საღამოს არჩეულ იქმნენ იმ კომისიი წევრნი, რომელსაც დაევალა, თვალყურ ადევნოს ცხენის რკინის გზას. კომისიაში მო ჰყვნენ: ი. მ. ალიხანოვი, ი. ი. თამამშევ ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ი. ა. გრ ქუროვი, ი. ა. სულხანოვი, ა. ს. ბალდასა როვი, ი. ს. ალიხანოვი, მ. ლ. სოსინი, ს. ღულაძე, მ. ზ. ქანანოვი და ბ-ნი ყიფიანი.

ამ საღამოს ხანგრძლივი კამათი გამოიწვ განსაკუთრებულის კომისიის მოხსენებამ, რო მელსაც მინდობილი ჰქონდა ქალაქის ქუჩ ბისა და მოედნების მოკირწყვლის პროექტ შედგენა. ბ-ნმა შესტაკოვმა კრებას წაუკით კომისიის პროექტი. კომისიას საჭიროდ და ნახავს ახლავ შეუდგეს ქალაქის ქუჩების მო კირწყვლას ყველა ადგილებში ერთსა და იმა დროს.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ქალა ქუჩების მოსაკირწყლად გადადებული აქ 600,000 მანეთი. ბ-ნმა ქუჩარიანცმა სთქვ ახლავ შევუდგეთ ქუჩების მოკირწყვლას ქა ლაქის შუაგულშიაც და განაპირა უბნის ქუ ჩებისასაცაო; რაც შეეხება დასახარჯს ფულს ამას ახლავე ნუ ვვარაუდებთო.

ხმის. ბაბოვის აზრით, საჭიროა 600,00 მანეთი, რომელიც გადადებულია ქუჩების მ საკირწყლად, მოხმარდეს ამ საქმეს ერთად, არა და ამ ფულს სხვა ფულიც მიემატოს

ხმის. ხუდადოვის აზრითი-კი, საჭიროა ქ ლაქის განაპირა ქუჩები მოიკირწყლოს, რ თაც ქალაქი ერთს ნაბიჯს წინ წასდგავს ჰიგ ენის მხრივ ქალაქის ცხოვრების განკარგებ საქმეში, ამასთანავე ქალაქს მეტი შემოსავა ექნება დასაფასებელ გადასახადის აკრები საჭიროა 400,000 მ. გადადებულ ფული გან მიეხმარდეს ქუჩების მოკირწყვლას, 2 ათასი მანეთი-კი ქუჩების შესწორებასაო.

ბ-ნმა შესტაკოვმა გამოაცხადა, რომ სა გამოირკვაო და კრებას შეეკითხა: თანახმა ხა თუ არა კომისიის მიერ შემუშავებულ პრო ექტით იხელმძღვანელოთო.

ხმები: ნება მოგვეცით, ბ-ნო თავმჯდომა ჩვენი აზრი გამოვთქვათ იმის შესახებ, თუ და როგორ გადაწყდეს.

შესტაკოვი ყურს არავის უგდებს და კით ლობს რაღაცას, მაგრამ არავის ესმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხმ. ხუდადოვი (ძალიან მოუსვენრად არის, ზეზე წამოდგება და, როგორც ეტყობა, წინააღმდეგია თავმჯდომარისა).

შესტაკოვი. (ხმ. ხუდადოვს) თუ რამე გაქვთ სათქმელი, ჩაეწერეთ და მერე რიგზედ ილაპარაკეთ. ახლა ნუ მიშლით.

ხმ. ხუდადოვი. მაგალითი თქვენ გვაჩვენეთ (დაჯდება).

შემდეგ კიდევ ბევრი ილაპარაკეს ამ საგნის შესახებ და ახალი არა უთქვამთ-რა. ბოლოს გადასწყდა, არჩეულ იქმნას კომისია და დაევალოს საქმის კარგად გაცნობა და ერთის თვის განმავლობაში შედგენა მოხსენებისა, რომელიც საბჭოს უნდა წარედგინოს განსახილველად.

—

## სამეურნეო საზოგადოების კრება.

(დასასრული)

უფრო გადამეტებით საგრძნობელია მიწის სივიწროვე დროებით ვალდებულ გლეხთა შორის. ქუთაისის გუბერნიის შესახებ ამ მხრით სათანადო ცნობები არ მოიპოვება. ტფილისის გუბერნიის შესახებ ამგვარ ცნობებს ვპოულობთ ტფილისის სახაზინო პალატის 1889 წლის გამოკვლევებში. ამ გამოკვლევების მიხედვით ტფილისის გუბერნიაში იყო დროებითი ვალდებული გლეხი 21,591 კომლი, რომელთაც გამოუსყიდელი ჰქონდათ 41,120,36 დესეტინა მიწა. მკვიდრთა ყოველ წლიურ გამრავლებას თუ ვიქონიებთ ამასთანავე სახეში, ამ ჟამად თვითოეულ დროებით ვალდებულ გლეხს, ორთა შუა გამონგარიშებით, მოსდის 1,69 დესეტინა მიწა. ხიზნების შესახებ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ჩვენ გვაქვს ცნობები 1883 წლისა. თვითოეულ კომლზე ტფილისის გუბ. მოდის 4,24 დეს., ქუთაისის გუბ. 2,29 დესეტ., ორივე გუბერნიებში-კი ორთა შუა 3,66 დესეტ. მიწა. ამ ჟამად, თუ მკვიდრთა გამრავლებას მივიღებთ მხედველობაში, ტფილისის გუბერნიაში თვითოეულ ხიზან კომლს შეხვდება 3,6 დესეტ., ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 1,93 დესეტ., ორთავე გუბერნიაში-კი—3,12 დესეტ. მიწა. რაიცა შეეხება მოსაკუთრე გლეხებს, ქუთაისის გუბერნიაში კომლზე 2,52 დესეტინა მოდის, ხოლო ტფილისის გუბერნიაში-კი 11,4 დესეტინა. ჩემ მიერ შეკრებილ ცნობებიდან გორის მაზრის შესახებ ამნაირად განაწილდება გლეხთა შორის მიწის რაოდენობა.

სახელმწიფო გლეხებს ორთა შუა რიცხვით კომლზე მოსდით 2,14 დესეტინა, დროებით ვალდებულთ—2,32 დესეტ., ხიზნებს—3,4 დესეტ. და მოსაკუთრე გლეხებს—1,41 დესეტინა. პროცენტის მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, ამ რიგად შეიძლება განაწილდეს გლეხთა შორის მიწა: სახელმწიფო გლეხების 79,63% მოსდის 3 დესეტინამდის, 12,53% —3—5 დესეტ. 7,84%—5 დესეტინაზე გადამეტებით, დროებით ვალდებულ გლეხების 76,26%—3 დესეტ., 12,47%—3—5 დესეტ., 11,27%—5 დესეტინაზე გადამეტებით, ხიზნების 48,05%—3 დესეტ., 29,87%—3—5 დესეტ., 22,08%—5 დესეტინაზე გადამეტებით და მოსაკუთრე გლეხების 88,48% —3 დესეტ., 7,09%—3—5 დესეტ., 4,43% —5 დესეტინაზე გადამეტებით.

გლეხთა სხვა-და-სხვა კატეგორიები რომ არ მივიღოთ მხედველობაში და ამასთანავე გამოუსადეგარი მიწები გამოვაცალკევოთ, თვითოეულ გლეხის კომლზე მოდის ქუთაისის გუბერნიაში 2,1 დესეტინა, ტფილისისა —5,95 დესეტ., განჯისა—6,24 დესეტ., ბაქოსა—7,81 დესეტ., ერევნისა—11,06 დესეტ. და მთელს ამიერ კავკასიაში—5,95 დესეტინა მიწა.

ყველა ამ ცნობებიდან აშკარად სჩანს, რომ ამიერ კავკასიის გლეხობა სრულიადაც არაა უზრუნველყოფილი მიწის რაოდენობით, გლეხმა რომ მიწის შემუშავებით იცხოვროს, სახელმწიფო გარდასახადები გაისტუმროს, თხუთმეტ დესეტინამდის მაინც უნდა ჰქონდეს სამუშაოდ ვარგისი მიწა. ჩვენში-კი ამ შუათანა ნორმის ნახევარი ძლივს-ღა მოდის თვითოეულს კომლზე; ქუთაისის გუბერნიაში ეს ნორმა თითქმის საარაკოდ მცირეა და, მაშასადამე, ამ პირობებში გლეხის მეურნეობის რიგიანად წარმართვა ყოვლად შეუძლებლად უნდა იქმნას მიჩნეული. მიწა გლეხთა კეთილდღეობის საიმედო საძირკველია. მიწის ნაკლებობა, მიწის სიმცირე ამავე დროს მიწად მომუშავე კლასის ნივთიერად სიღატაკეს, შეუძლებლობას მოასწავებს. ეს გარემოება მეტად სამწუხაროა, რადგან მიწის მომუშავე კლასთა რაოდენობა სჭარბობს ყველა სხვა კლასთა რაოდენობას. მიწის სიმცირე მით უფრო საშიშოა, რამდენად უფრო მცირედ განვითარებულია ამა თუ იმ კუთხეში მრეწველობა და საზოგადოდ კულტურულ ეკონომიური ცხოვრება. ამ მიზეზის გამო გლეხობა დღითი დღე ღარიბდება და გაჩქარებით ისწრაფის პროლეტარიის გზისაკენ. მე წარსულ ზაფხულში მოვიარე მთელი გორის მაზრა და ვიყავი მოწამე გლეხთა ისეთის სიღარიბისა, რომ კალმით ამის აღწერა ყოვლად შეუძლებელია.

სახელმწიფოს პირდაპირი ინტერესები მოითხოვენ, პატივცემული რეფერენტის აზრით, რომ თვით მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გლეხთა მიწის სიმცირეს და რამ წამალი დასდოს ამ გარემოებას. გლეხის მეურნეობა თუ გაუმჯობესდა, გლეხი თუ ეკონომიურად წელში გაიმართა, ეს სახელმწიფოს პირდაპირი სარგებლობაა, რადგან ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხაზინას თავის დროზე შემოუვა ყოველივე გლეხებზე გაწერილი გარდასახადი. სახელმწიფოს ბევრი სხვა-და-სხვა საშუალება აქვს იმისათვის, რომ გლეხთა მიწის სიმცირეს წამალი დასდოს, გლეხის ეს მეტად საგრძნობელი ნაკლულევანება, რომელიც მას ასე ეკონომიურად აბეჩავებს, რამდენიმედ მაინც შეასუსტოს, თუ სულ არ გაანადგუროს. მთავრობას შეუძლიან უპირველეს ყოვლისა გაუხსნას გლეხობას კრედიტი და ამით მისცეს საშუალება თვითოეულ გლეხს ნასყიდობით შეიძინოს მამული, რისთვისაც ამ ჟამად გლეხს საჭირო თანხა არ მოეპოვება. 1883 წელს რუსეთში დააარსეს გლეხთათვის საგლეხო საადგილ მამულო ბანკი.

ამ ბანკის თავი და თავი დანიშნულებაა გლეხს საკუთრებად შეაძენინოს მამულები. რამდენად ნაყოფიერია ამ ფრიად სასარგებლო დაწესებულების მოქმედება იქიდანა სჩანს, რომ ბანკის დაარსებიდან 1901 წლის 1 იანვრამდის ბანკს გაუცია 34,809 სესხი 245,107,000 მანეთის ჯამისა 5,102,000 დესეტინა ადგილის სასყიდლად. ამ ბანკის ნაყოფიერი მოქმედება გავრცელებულია მთელს რუსეთში, გარდა, სამწუხაროდ, ამიერ-კავკასიისა, სადაც ასე დიდი მიწის სიმცირეა.

მეორე ზომად, რომლითაც მთავრობას შეუძლიან დიდი დახმარება აღმოუჩინოს ამიერ-კავკასიის გლეხებს, უნდა იქმნას მიჩნეული ის ზომა, რომ გლეხებს ნადელად მიეცეს სახელმწიფო თავისუფალი ადგილები. ამგვარი თავისუფალი ადგილები ხაზინას ტფილისისა, ქუთაისისა, ერევნისა, განჯისა და ბაქოს გუბერნიებში სამ მილიონ დესეტინამდის მოეპოვება. ეს ადგილები თავის მდებარეობით, ჰავით და ნიადაგით ყოვლად გამოუსადეგარია რუსთა კოლონიზაციისთვის, რადგან ამ ადგილებში უჩვევი ხალხი ვერას გახდება, მალე სულ ხელს აიღებს ოჯახობაზე, ხოლო ადგილობრივი გლეხობა-კი დიდის სარგებლობით გამოიყენებს ამ თავისუფალ ადგილებს.

გარდა ამისა, ხაზინას შავიზღვის გუბერნიაში დიდ-ძალი თავისუფალი მამულები აქვს. ეს გუბერნია ქუთაისის მეზობლადაა და ამ უკანასკნელში-კი, როგორც ზემო-მოყვანილ ციფრებიდგან დავინახეთ, ამიერ-კავკასიაში დანარჩენ გუბერნიებზე ყველაზე უფრო მეტი მიწის სიმცირეა.

თუმცა მთავრობა ბევრს ეცადა, ბევრი შეღავათიანი პირობები და პრივილეგიები შემოიღო, რომ შავი ზღვის ნაპირას მდებარე თავისუფალი ადგილები რუსთა ელემენტით დაესახლებინა, მაგრამ ყოველივე ცდამ ამ მხრით სრულიად ამაოდ ჩაუარა. ამ გარემოებას ამოწმებენ შავი ზღვის ნაპირების ყველა პირუთვნელი მკვლევარნი: კლინგენი, ვასილიევი, ლიჩკოვი და მრავალი კიდევ სხვანი. რუსის კოლონიზაცია ამ გუბერნიაში ფეხს ვერ იკიდებს და ამიტომ ბევრი თავისუფალი ადგილი რჩება სულ ტყუილუბრალოდ მაშინ, როდესაც ამიერ კავკასიაში-კი ასე დიდი მიწის სიმცირეა.

ყველა ამ მოსაზრებათა გამო ამიერ კავკასიის გლეხთა აწინდელ ეკონომიურ მდგომარეობის საკეთილოდ შესაცვლელად შემოაქვს საზოგადოების პატივცემულ წევრთა წინაშე შემდეგი სამი წინადადებაო. პატივცემული რეფერენტი ურჩევს საზოგადოებას იშუამდგომლოს სამინისტროს წინაშე, რომ 1) ამიერ კავკასიის მთელის გლეხობის, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, სარგებლობისათვის ტფილისში დაარსებულ იქმნას კავკასიური განყოფილება გლეხთა საადგილ-მამულო ბანკისა; 2) ამიერ კავკასიის მცირე მამულიან გლეხობას მიეზომოს სახაზინო მიწები იმავე პირობით, როგორითაც ეძლევათ ეს მიწები რუსთა ეროვნების გლეხობას და 3) მოწყობილ იქმნას მთავრობის დახმარება გლეხთათვის, რომელნიც გადაესახლებიან სახაზინო მამულზე, იმ აზრით, რომ გლეხებმა შესძლონ პირველი მოსახლეობის გამოწყობა. რეფერენტი საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის კვრით დააჯილდოვა. მოხსენების განხილვა, რადგან უკვე გვიან იყო, გადადებულ იქმნა განსახილველად შემდეგ კრებისათვის.

---

## აზრი ინჟ. აკორონკოსი

### კახეთის რკინის გზის შესახებ.

ჩვენ დავპირდით მკითხველებს, უფრო ვრცლად გავაცნოთ აზრი ინჟ. აკორონკოსი თ. იოსებ ანდრონიკაშვილის მოხსენების შესახებ, კახეთში რკინის გზის გაყვანის თაობაზედ. ვასრულებთ ჩვენს დაპირებას და მოგვყავს შესაძლებელის სავსებით შინაარსი აკორონკოს მიერ სამეურნეო კრებაზედ წარმოთქმულის სიტყვისა.

გაუგებრობა დაჰყვა თან ამ საქმესა და იქნება ჩემმა ორიოდე სიტყვამ განჰფანტოს ეს გაუგებრობაო,—დაიწყო აკორონკომ. ანდრონიკაშვილს უმადური და ძნელად შესასრულებელი საქმე უტვირთნია, ძნელად შესასრულებელი სწორედ იმ მხრივ, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ანდრონიკაშვილი თვით კახეთის მემამულეა. ამ კრებაზედ მისნი თანამოძმენი ბევრნი არიან. ყველას მწვავედ ეხება კახეთის რკინის გზის საქმე. მაშ, ანდრონიკაშვილს უნდა სცოდნოდა წინადვე, რომ ბევრნი აქ დამსწრეთაგანი უნდობლად მოეკიდებოდნენ მის აზრს, რომ უპირატესობა უნდა მიეცეს კახეთში გასაყვან რკინის გზის სამხრეთ მიმართულებას ჩრდილოეთის წინაშე. ამიტომ მის მოხსენების ციფრები იმის შესახებ, თუ რომელ რაიონში რამოდენია მოსახლე, რამოდენ იამომცემი მამულები, სასოფლო-ნაწარმოებნი, ოფიციალურ წყაროებიდგან არის გამოკრებილნი და ამ მხრივ თვისი მძიმე მოვალეობა ბ-ნს ანდრონიკაშვილს პირნათლად შეუსრულებია. ყოველ შემთხვევაში, თუ სადავოა რამე ამ მხრივ, ციფრებს ციფრებითვე უნდა ედავოს კაცი და არა კავკასიაში მოგზაურთა შთაბეჭდილებით, á laLamarc-ივით, ჩვენის საზოგადოების პატივ-საცემ სტუმარივით.

შთაბეჭდილებათა სტატისტიკას წინად ჰქონდა მნიშვნელობა, როცა სარკინის გზო კონცესიებით იყვნენ გატაცებულნი და როცა ამ გვარ სტატისტიკის რამდენიმე კაბადონი დაუთმო თავის უკვდავ სატირებისა შჩედრინმა.

მაგრამ, მე რა მეკითხვის იმისი, თუ რომელი მიმართულება უფრო მდიდარსა და უფრო მკვიდრთა რიცხვ მრავალ რაიონს დაუწყებს სამსახურს: კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრნი ჩემზედ უფრო მეტის მცოდნენი არიან ამ მხრივ.

სიმძიმე თ. ანდრონიკაშვილის მიერ ნაკისრებ საქმისა ის არის, რომ მოხსენების ავტორი ადარებს ერთმანერთს, რაც დაჯდება გაყვანა რკინის გზისა კახეთში ან ერთით და ან მეორე მიმართულებითა. ეს-კი, ჩემის აზრით, შეუძლებელი საქმეა.

სამხრეთ მიმართულების გამოკვლევა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ხარჯითა და შუამდგომლობით იკისრა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ 1893 წელს. შესდგა დანამდვილებული ნუსხაც იმისი, რაც დაჯდებოდა ამ მიმართულებით გზის გაყვანა.

რასაკვირველია, ამ ჟამად კიდევ საჭირო იქნება არსებითი ცვლილება იქმნას შეტანილი ამ ნუსხაში, თანხმად შეცვლილ გარემოებათა. ახალის გამოკვლევით შეიძლება ბევრად განკარგებულ იქმნას პირვანდელი პროექტი, რადგან კრიტიკა მუდამ ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე საქმის გაკეთება და ახალს მკვლევარს, რომელსაც უკვე ხელთ ექმნება მზა-მზარეული პროფილი წინა გამოკვლევათა, ადვილად დაინახავს, სად და რა უნდა შეიცვალოს სასიკეთოდ.

რაიცა შეეხება ჩრდილო-მიმართულებას (თიანეთზედ), ამ მხრივ დაწვრილებული გამოკვლევა არავის მოუხდენია, პროექტი მისი და ნუსხა საკმაო დიდს მანძილზედ შედგენილია კაბინეტში, „ადგილობრივ დათვალიერებისა და დათარაზოვების საფუძვლით, აგრეთვე იმ პლანშეტებით, რომელიც ტფილ. სამოსამ. პალატის განსაკუთრებულს განსამიჯნავ საკრებულოში ინახება“ (იხ. გვ. 5 განმარტებითის წერილისა კახეთის რკინის გზის ჩრდილო მიმართულების გასინჯვისათვის).

1899 წელს მთავრობამ მოინდომა ამ მიმართულებით გამოკვლევა გზისა, მაგრამ ესეც ვერ მოხერხდა არც ამ წელს და არც შემდეგს 1900 წელს, როგორც სჩანს იმ პასუხიდან, რომელიც ინჟინერმა ტომაშევიჩმა აუწყა გზათა სამინისტროს.

მაშ, როგორღა შეიძლება სჯა ვიქონიოთ იმის შესახებ, თუ რა დაჯდება გზა მთა-გორიან ალაგას, როცა დაწვრილებული გამოკვლევანი ხელთ არა გვაქვს? არა თუ ამის გაგება არ შეიძლება, იმის თქმაც-კი ძნელია დღეს, შესაძლო-კია (სარგებლობის მხრივ) გაყვანა გზისა ჩრდილო მიმართულებით?!.

ერთს რკინის გზის კეთებაში დახელოვნებულს და ავტორიტეტით მოსილს სთხოვეს, ესა და ეს გზა გააკეთეო: „არ შემიძლიან ვიტვირთო პროექტის შედგენა სხვის გამოკვლევის მიხედვით, თუ მე თვითონ არ შევამოწმე ეგ გამოკვლევანი და არ გავიცანი ადგილის ყოველი ვითარებაო“. აი, ასე ლაპარაკობენ რკინის გზის კეთების საქმის მცოდნენი, რომელნიც კისრულობენ ზნეობრივს პასუხისგებას, რომ გზა სწორედ კარგად გაკეთდება და სასარგებლოც იქმნებაო.

იმედია, ჩემ მიერ ნათქვამი ცხადად ამტკიცებს, რომ თ. ანდრონიკაშვილს შეუძლებელი საქმე უტვირთნია—შედარება იმისი, თუ რა დაჯდება ჩრდილოსი და სამხრეთ მიმართულების კახეთის რკინის გზა, ესე შედარება იმისი, რაც დამყარებულია დაწვრილებულ გამოკვლევაზედ და იმისი, რასაც საფუძვლად აქვს მხოლოდ კაბინეთში შედგენილი ანგარიშები. ეს ორი საგანი ვერ შეედრება ერთმანეთს, ვერ დაუმხარდამხარდება ერთი მეორეს!

ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ საქმე გაკეთება-კი არ არის გზისა, საქმე მისი მოხმარებაა. ჩვენში არის ისეთი გზები, ისე გაკეთებულები, რომ ყოველ დღე ზარალი მოაქვთ და, რაც უფრო მეტი საქონელი იზიდება გზებით, მით ზარალი უფრო მეტია. ამისთანაა არა მარტო ტყიბულის შტო, არამედ თვით დიდი გზებიცა.

ამ მხრივ საგანს არ შეხებია მოხსენების ავტორი. მან არ განმარტა მთავარი მიმართულება საქონლისა, არ გამოიანგარიშა: კახეთი მიიღებს თუ არა საქონელს, ან რა საქონელსა და რამდენს მოითხოვს? თვით კახეთი რამდენს და რას გაგზავნის სხვაგან და რა მიმართულებით? ეს უნდა გამოირკვეს უპირველეს ყოვლისა, თუ გვინდა გადავწყვიტოთ, რომელს მიმართულებას მიეცეს უპირატესობა.

ჯერ ძირო, მერე სიზმაროვო. ჯერ ისიც არ არის გადაწყვეტილი, შესაძლოა თუ არა (ხეირისა და გზის გამოყენების მხრივ) ჩრდილო მიმართულებით გაყვანა გზისა და ჩვენ უკვე ვლაპარაკობთ, რა დაჯდებაო. ეს დიდი გაბედვაა. შემოსავალი უკვე გამოარკვიეს გაბედულმა კაცებმა, ბ-ნმა ლამარკმა და სხვამ და ჰპირდებიან 15% მოგებას აქციონერებს.

ის სიადვილეც, რა სიადვილითაც ჰფიქრობს ბ-ნი ლამარკი საობლიგაციო თანხის შოვნას, ძალიან საოცარია. დრონი იცვალნენ.. ბევრმა უცხოელმა დაიწვა პირი და იწვნია წვენი ამისთანა საქმეებზედ რუსეთში: ბევრი კონცესია დაიღუპა, ან დარჩა ქაღალდზედ, იმიტომ რომ თანხა ვერ იშოვნეს კონცესიის პატრონებმა. მაგალითისათვის შორს არ გვინდა წასვლა. ქიათურიდგან საჩხერემდე და სხვა ადგილებამდე კონცესია უკვე არის ნება-დართული, მაგრამ აგერ 4 წელიწადია და თანხა არ გაჩნდა.

ორი სიტყვაცა: ბ-ნი ლამარკი გვისაყვედურებს, რუსნი ისეთნი გაბედულნი არა ხართ, როგორც იანკიო, არ იცით, სასარგებლო საქმე როგორ მოაგვაროთო. მან მაგალითიც მოიყვანა, როგორ გააკეთა ელექტრონის ტრამვაი ერთმა ამერიკელმა უდაბნოზედ თავის მამულამდე და მით დიდად ასწია ფასი ამ მამულისაო. სამწუხაროდ, ეგ მაგალითი დაგვიანებულია. ერთმა გაბედულმა უცხოელმა მოახერხა და დაჰყიდა თავისი მამულები ტფილისში და არამც თუ არ გააკეთა ფუნიკულერი, არამედ ისე აჩვენა მხოლოდ თავი ყველას, რომ მინდა ფუნიკულერი გავიყვანოო. ჩაიჩხრიალა ფულები ჯიბეში, გაჰკრა ხელი და გასწია თავის „Vaterlomd“-ში.

---

## ქართული მუსიკის მდგომარეობა.

ჩვენის საზოგადოების სულიერი გამოფხიზლება, ამ ორმოცი წლის განმავლობაში, ცოტად თუ ბევრად დაეტყო ცხოვრების ყველა სფერას. არ დარჩა დავიწყებული სახალხო მუსიკაც. საზოგადოების ინტერესი მუსიკისთვის გამოისახა პირველად მაჭავარიანის სიმღერების კრებულის გამოცემით, 1868 წელს. სიმართლით რომ ვთქვათ, ამ კრებულს არა აქვს ახლა მუსიკალურ მასალის ღირსება, როგორც ისტორიული საბუთი-კი დიდად საინტერესოა. ეს კრებული საქმის დასაწყისის მაჩვენებელია და ამას აქედ შეგვიძლიან გამოვიკვლიოთ რამდენად განვითარდა ჩვენში სამუსიკო საქმე ამ ოც-და-ხუთის წლის განმავლობაში.

თუ მივდიეთ ამ საქმის მსვლელობას, 1886 წელს დავინახავთ ბ-ნ ბენაშვილის კრებულს. ამ კრებულს კი ეტყობა, რომ მუსიკის ზედმიწევნით მცოდნე კაცის შედგენილია, და ამიტომ თავით თვისითაც კრებულს დიდი ღირსება აქვს. ამ კრებულით ჩვენმა მუსიკამ—ერთბაშად დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, და მხოლოდ კრებულის ტეხნიკური მხარე, ე. ი. ცუდი დასტამბვა და დიდი კორექტურული შეცდომანი,—და ზოგჯერ, გვგონია, ავტორის შეცდომანიც,—ჰმოწმობენ, რომ ეს საქმე ჩვენში ჯერ კიდევ ახალია.

მესამე, 1890 წელს გამოდის მცირე კრებული ცხრამეტის მეგრულის სიმღერისა, ერთხმიანებისა და გუნდის სამღერალების, შედგენილი ბ-ნ გროზდოვის მიერ, რომელიც გაუგებარი მეგრულის ანბანით რომ არ ყოფილიყო დაწერილი ძვირფას კრებულად ჩაითვლებოდა და მეცნიერების მხრივაც ძვირფასი იქნებოდა. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ამ კრებულში ვერას გაიგებ უცნაურ ანბანის გამო. ამის შემდეგ იბეჭდება 1895 წ. ჟურნალ „Артистъ“-ის მე-45-დან ამოღებული თორმეტი ქართული სიმღერა, ფორტეპიანოს აკომპანიმენტით ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვისა, ზედ დართულის მისივე წინასიტყვაობით: „ქართული სახალხო სიმღერა და ახლანდელი მისი მდგომარეობა“. ეს გამოცემა ძრიელ საინტერესოა, როგორც კრებული ქალაქურ კულტურის სიმღერების (ტერმინი ჩვენია); მისი წინასიტყვაობა-კი პირველი ცდა იყო ქართულ სახალხო სიმღერების დამყარებისა სამეცნიერო ნიადაგზედ. ეს კრებული კვლავ გვიჩვენებს, რომ ჩვენი მუსიკის საქმე წარმატების გზას დაადგა.

იპოლიტოვ-ივანოვის კრებულს მოჰყვა 1896 წ. ბ-ნ ჩხიკვაძის კრებული 35 სიმღერისა (მათ შორის რამდენიმე სიმღერა ბ-ნ ბალანჩივაძისაა), როგორც ეტყობა სკოლებში სახმარებლად შედგენილი და ბოლოს, 1898 წელს გამოვიდა ბ-ნ კარგარეთლის მიერ შედგენილი დიდი კრებული ორმოც-და-ათის სიმღერისა, რომელთა შორის რამდენიმე სიმღერა იშვიათად გასაგონია. სამწუხაროდ ეს კრებულიც შეცდომებითაა დაბეჭდილი.

ამით თავდება ჩვენი მოღვაწეობა საერო მუსიკის სფერაში.

ამავე დროს უყურადღებოდ არ დარჩა ქართული საეკლესიო მუსიკაც. ბენაშვილის კრებულში საერო სიმღერებთან ერთად მოთავსებული იყო ქართული საგალობელნი (სამწუხაროთ ესეც შეცდომებით) წმ. იოანნე ოქროპირის ლიტურგიისა; 1895 წ. გამოვიდა ბ-ნ ქორიძის ჩაწერილი საგალობელნი; 1897 წ.—„მწუხრი“ მღ. ვ. კარბელაშვილისა; 1898 წ.—„ცისკარი“ მისივე (ორივე გამოცემანი სამწუხაროდ ცუდათ დაბეჭდილია და შეცდომებითაც); 1899 წ.—„საგალობელნი შობის დღესასწაულისა„ მღ. ვ. კარბელაშვილისა და ა. მოლოდინოვისა და უკანასკნელ *), 1899 წ. იპოლიტოვ-ივანოვის ჩაწერილი წმ. იოანნე ოქროპირის ლიტურგია. ეს კრებული, როგორც შეეფერება, ჩაწერილია საეკლესიო „გასაღებით“, კარგად დაბეჭდილია და საერთოდ ეტყობა რომ სრულის ნდობის ღირსი უნდა იყოს.

ჩვენ არ გავარჩევთ ყველა ამ კრებულებულების ღირსებას, ვიტყვით მხოლოდ, რომ საეკლესიო მუსიკაც უყურადღებოდ არ იყო დატოვებული და მაინც და მაინც ამის საქმეც მიდიოდა წინ.

ეხლა რაღა მდგომარეობაშია ეს საქმე?

უეჭველია, რომ რაც შეეხება საერო სიმღერას, საქმე საუცხოოდ მიდის, რადგანაც სიმღერების ჩასაწერად ამ ბოლოს დროს იმართება ექსკურსიები ფონოგრაფით, რომ სიმღერები უფრო სწორეთ ჩაიწეროს. სამწუხაროდ, ეს ჩაწერილი სიმღერები (ჩვენ არას ვამბობთ უფონოგრაფოთ ჩაწერილებზედ) ისევ პორთველებში უწყვიათ ავტორებს, რომელთაც არ აქვთ შეძლება დაბეჭდონ ეს სიმღერა და დაგვანახვონ რამოდენი სულიერი საუნჯე ჰქონია ქართველს ერს. საიდგან უნდა ველოდეთ შველას?—იქნება რომელიმე რუსეთის სამეცნიერო საზოგადოებისაგან? მაგრამ თვით რუსეთის საზოგადოებას არა აქვს შეძლება თავიანთ მასალის გამოსაცემად. ქართველებისაგან? ქართველები, როგორც ვიცით, წარმოადგენენ თითქმის სრულს უმეცრებას სამუსიკო საქმეში და რამდენიც უნდა ელაპარაკო, სულ ერთია,—ვერას გააგებინებ; ვისაც-კი ესმის რამე, ფული არა აქვს.

მაშ რაღა გვრჩება?—მხოლოთ ის, რომ თვით მემუსიკენი დაეხმარონ ერთმანეთს. რანაირად?—ასე მაინც: დავაარსოთ ქართული სამუსიკო საზოგადოება, რომლის წყალობითაც შეიძლება ვმართოთ ფასიანი კონცერტები და საღამოები. ამავე საზოგადოებასთან დავაარსოთ იაფ-ფასიანი სამუსიკო კლასები, რომ მივცეთ მუსიკალური განათლება, როგორც საზოგადოების წევრთ, ისე გარეშე მსურველთა, და ამის შემწეობით შევავსოთ საზოგადოების კასა. მოვიწვიოთ ამ საქმის დასახმარებლად ვისაც ნივთიერად დახმარება შეუძლიან. ვამგზავროთ კარგად მოწყობილი იმ ქალაქებში სადაც ქართველები სცხოვრებენ და სხვა. ამნაირ საზოგადოებას დიდი მნიშვნელობა ექნება ქართველებისათვის მით, რომ თანდათან მოამზადებს ხალხს როგორც მის მომავალ, ისე საზოგადო ევროპულ მუსიკის შესამცნებად. ერთის სიტყვით, დაუახლოვებს ქართველებს (მათის სახის უცვლელად) ევროპის კულტურის ხალხებს.

---

*) ბ-ნ კლენოვსკის ლიტურგიას არ ვანგარიშობ, როგორც ხელოვნურს შემუშავებას.

მართლა და, რას წარმოადგენს ეხლანდელი ქართველობა მუსიკის მხრივ?—თითქმის სრულს უმეცრებას. ეხლა რომ დასწეროს ვინმემ ქართული ოპერა, ხომ თითქმის ვერავინ გაიგებს,—იმიტომ რომ ეს „ახ მეზურნე“ როდი იქნება! თუნდაც გაეგებოდეს ვისმეს, მაინც მისი ასრულება შეუძლებელი იქნება, რადგანაც არა გვყავს მომღერალნი არტისტნი ქართველთაგანი და რამდენი სხვა დაბრკოლება წინ უდგება ქართულ ოპერის მოწყობას, საშინელია კაცმა წარმოიდგინოს. ხოლო თუ ისეთს დაწესებულებას გავიჩენთ, სადაც კარგი გუნდი გვეყოლება და პატარა ორკესტრი და სადაც მუსიკის მცოდნე ხალხი საკმაოდ გვეყოლება, მაშინ რასაკვირველია მაგისთანა საქმის გამართვაც გაადვილდება. ასეთი დაწესებულება რომ გვქონდეს, უეჭველია მაშინ ოპერაც დაიწერებოდა და სხვა სამუსიკო ნაწარმოებიც, რომელთა ავტორნი სიამოვნებით დაუთმობდნენ რამდენისამე წარმოდგენის შემოსავალს ამ დაწესებულების სასარგებლოდ. ამგვარად შეიძლება ფული მოგროვდეს, ფონდი დაარსდეს და დაიბეჭდოს ყველა სამუსიკო თხზულებების ხელნაწერები ვისაც-კი რა მოეპოვება. ამასთანავე შეიძლება დაარსდეს განსაკუთრებული მუსიკალური კომისია, რომელიც დრო გამოშვებით გაგზავნის თავის წევრებს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში სიმღერების ჩასაწერად.

მაგრამ კმარა. ასეთი საქმე თურმე, ვერ მოხერხდება. ტფილისში ყოფნის დროს გვიამბეს, რომ ერთხელ ქართველი მემუზიკენი შეიკრიბნენ, რომ შეემუშავებინათ ქართული სამუსიკო წრის წესდება, მაგრამ წაიჩხუბნენ და დაიშალნენ, რადგან ყველას უნდოდა წრის თავმჯდომარეთ ყოფილიყო.

ვინაა დამნაშავე, არ ვიცით და არც საჭიროა ამის ცოდნა, საყურადღებოა მხოლოდ თვით ეს მოვლენა, რომელიც მოწმობს ჩვენს სიბნელეს. ვინ იცის, მოგვევლინება როდისმე სინათლე თუ არა? იმათ-კი, ვისაც აქვთ რაიმე განზრახვანი ან ხელნაწერები (მეტადრე ვინც სამშობლოს დაშორებულნი არიან) უნდა უცადონ იმ დროს, ოდეს მოვლენ სხვა კაცნი, სხვა ცოდნისა და სხვა განვითარებისანი, რომელნიც განახორციელებენ ეხლანდელს ჩვენს ოცნებას.

დიმიტრი არაყიშვილი.

## აი, ძმობა!?

კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოსდინდების!

გასულ კვირას (იხ. „ივერია“ № 33) ერთი სწორედ ხელის-ხელ საგოგმანები მარგალიტი გადმოაგორა ჩვენმა კლდიამ გაზეთ „ნორდარ“-იდგან.

აბა, მკითხველო, გადაავლე შენი პატიოსანი თვალი, რამდენი საგულისხმო რამ ჰპოვო ამ მარგალიტში.

„ნორდარ“-ის ამქარი თავის დოვლათიანს, მსუქან ხელს გვიწვდის;—მოდით, ძმებოჯან, ქართველებო, რის მტრობა, რის შური; მუდამ ძმები ვყოფილვართ, ვართ და ძმურადვე ვიცხოვროთო. განა რა უმადურნი გვნახეთ, რომ ძველთა-ძველი პურ-მარილი და ძმური სიყვარული ქართლოსიანთა ჰაოსიანთადმი—ოდესმე დავივიწყოთ! თუ თქვენი წინაპარნი თავს ასრესდნენ ჩვენს დასაფარავად სარკინოზთ, ბერძენთ, რომაელთ, მონღოლთ, სპარსთა და ოსმალთ; თუ მათ შეგვივრდომეს, მშიერ-მწყურვალნი განგვაძღეს, შიშველ-ტიტველნი შეგვმოსეს, შიშისაგან ბოცორ-კურდღელივით დამფრთხალნი და დაქსაქსულნი, თავის ძლიერს ფრთას ქვეშ შეგვიყუდრეს და გვიპატრონეს,—ეხლა ჩვენ გიხდით სამაგიეროს, ჩვენა გპატრონობთ, ვზრუნავთ თქვენთვის,—ფარეშ-მზარეულად სულ ქართველები გვყავანს (კურსივი ჩვენია) და, ხანდახან ქართველების სასარგებლოდ საქველ-მოქმედო აზრით გამართულ ნადიმ-მეჯლისებსაც ვესწრებით ხოლმეო.

საუცხოვო ძმობა-ერთობაა, ვფიცავ „ნორდარ“-ის ამქარს მისის უსტაბაშით, ერთის მხრით ფარეშ-მზარეულობა და მეორეს მხრით—აღა-ბატონობა!

ჰოი, „ივერია“! რა შეუნდობელი ცოდვა მიგიძღვის ივერთა წინაშე, რომ ასეთს სანეტარო ძმობა—კეთილის-მყოფლობას უარობდი. არა სჯობდა, რომ ბარემ ადრევე შევდგომოდით სომეხთა ფარეშ-მზარეულობას, გვემზადებინა მათთვის ფლავ-ბოზბაში (ჰაი, თუ შესთქვლეფ· და რომელიმე „ნორ-დარის“ ამქართაგანი გირვანქიან-ადლიანცი, დაისვამდა კოლოტაფეშვზე ხელსა და მორთავდა ნეტარების კვნესას,—იფ, იფ, ტერ-ასტვაც, შატ ლავ ბოზბაშ!) ნასუფრალი ხომ ჩვენ დაგვრჩებოდა!

იცი, რა გითხრა, ძვირფასო მკითხველო: მოდი, ისევ ჩვენს ყბად-აღებულ და წყალწაღებულ მამლა-ყინწა ლიტერატორებს, რომელნიც „ივერიის“ ტაქტიკასა და გამჭრიახობას სძრახავდნენ, იმათ დავუთმოთ, „ნორ-დარის“ ამქარს ეძმონ, ე. ი. მზარეულობა გაუწიონ (ლაქიად ჯერ-ჯერობით ზოლიც ეყოფათ!), თორემ მე და შენ მათ გემრიელ საჭმელს ვერ მოვუმზადებთ.

„ნორ-დარის“ ქამანჩაზე ბასტი-ბუკუს მოთამაშე ღიპიანკი ისე ყოფილა, ჰამა-კვნესით შეპყრობილი ამ აღებაში, რომ ფლავ-ბოზბაშის მეტი მის თავში არა ყოფილა-რა, თორემ რომელ კარაბადინში ამოიკითხა,—საქართველოს წარჩინებული გვარიშვილნი (ბაგრატიონნი, ჯორჯაძენი და სხ.) სომხები არიან შთამომავლობითაო!

თქვენ ძალად ამახინჯებთ ისტორიასაო,—განაგრძობს უსტაბაში ბოდვას,—თორემ ჩვენისთანა დიდებული არისტოკრატია სიზმრადაც-კი არა გზმანებიათ ქართველებსაო. მაგრამ, როცა დაქვეითდებოდა ჩვენი არისტოკრატი, ზიზღით უარ-ჰყოფდა თავის დიდ-კაცობასაო (ან-კი რაღა მოეწონებოდა მეთულუხისა და მეკურტნის ხარისხთან სახელოვანი გვარიშვილობა!) თქვენა ხართ ისე ბედდოვლათნი, რომ დიდება აღარა გაქვთ, და ცალიერ დიდებულობას მაინც არ უარჰყოფთ, თორემ ჩვენ მაგისთანა ფუქსავატობას კარგა ხანია დავანებეთ თავიო.

რაიცა შეეხება იმ აზრსა, ვითომ ქართველებს დავეფარნეთ მოსრა-მოჟლეტისაგან, ესეც ჭორია,—პირ-იქით, ჩვენ ვიფარავდით ქართველებს, თორემ დღეს მათი სახსენებელიც არ იქნებოდაო (ჰო, მართლა დავით აღმაშენებელის, თამარ-მეფის, გიორგი ბრწყინვალესი, ერეკლე მეფისა და სხ. ძლევა-მოსილება სულ კრიათა წყალობა იყო!)

ერთის სიტყვით, „ნორდარ“-მა გვამცნო,—ქართველებს ჩვენისთანა არც ძალა გქონიათ, არც დიდკაცობა გყოლიათ, თუ ორიოდე გამოჩენილი გვარიშვილი გყავთ, ეგეც ჩვენის წყალობითაო. რადგან მაინც და მაინც თქვენი ნაამაგარი ვართ, თუ გაგიჭირდეთ, ნუ გეშინიანთ, ჩვენთან მოდით და გიყმობთო.

ნაიბი.

## უცხოეთი

**ავსტრია-უნგრეთი.** ყოველი სახელმწიფო, დიდი და პატარა, ამ ჟამად სავაჭრო პოლიტიკაში რომაელთა ანდაზათ ხელმძღვანელობას აპოროს,—Si vis pacem, para bellum (თუ მშვიდობიანობა გსურს, მზად უნდა იყო საომრადაო). გერმანიამ, ავსტრია-უნგრეთმა, რუსეთმა და, პატარა შვეიცარიამაც-კი, ისეთი დიდი ბაჟები შემოიღეს, რომ ყოველ შემთხვევაში შეიარაღებულ საპოლიტიკო მშვიდობიანობასთან სავაჭრო-საპოლიტიკო მშვიდობიანობასაც ჯეროვანი ანგარიში უნდა გაეწიოს.

ჩვეულებისამებრ მაგალითი გერმანიამ უჩვენა სხვებსა და იგინიც, რომ თავისი თავი დაეცვათ, იძულებულნი გახდნენ, ისევე მოქცეულიყვნენ. როცა ავსტრიისა და უნგრეთის მთავრობათა დელეგატები პირველად შეიყარნენ 1901 წელს, ახალ ავტონომიურ ტარიფის შემოღების შესახებ, არავის არ უფიქრია, წინააღმდეგ მემამულეთა აგიტაციისა, რომ გადასახადები თვალ-საჩინოდ აეწიათ. როგორც-კი გამოქვეყნდა გერმანიის ახალი საბაჟო ტარიფის პროექტი, ავსტრია-უნგრეთის დელეგატებმა მაშინვე შესწყვიტეს ბჭობა, იმ აზრით, რომ მეზობელ სახელმწიფოს ანგარიში ეგარაუდნათ, ამისათვის საჭირო შეიქმნა სრულიად ახალის გზის არჩევა. სასამ საბოლოოდ არ გადასწყდა ბედ-ბედი გერმანიის სატარიფო პროექტისა, რომელსაც თვით გერმანიაშივე დიდი წინააღმდეგობა გაუწია ზოგიერთმა დასმა,—ავსტრია-უნგრეთი არა სჩქარობდა, ელოდებოდა, როგორ გადაწყდებოდა გერმანიაში საქმე.

ამ დღეებში ავსტრიისა და უნგრეთის პარლამენტებში დასამტკიცებლად წარდგენილ ტარიფის ავტონომიურ პროექტს, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, უფრო თავის დამცველობითი ხასიათი აქვს. დაწვრილებითაა აღნიშნული სხვა-და-სხვა საქონელი და სშირად იგივე გადასახადია დაწესებული, რაც ამგვარსავე საქონელზედ გერმანიაში. ერთი სიტყვით, თვალი თვალის წილ და კბილი კბილის წილ.—აი, რა პასუხი გასცა ავსტრია-უნგრეთმა გერმანიას. სანამ გერმანია არ მიჰმართავს ახალს საომარ ტარიფს, ავსტრიაც ძველის ტარიფით იხელმძღვანელებს. ვადა, თუ როდის უნდა შევიდეს თავისს ძალაში ავსტრია-უნგრეთის ტარიფი, არაა აღნიშნული კანონ-პროექტში; პირიქით, ნათქვამია,—როცა მთავრობა დაინახავს საჭიროდაო. ამ შემთხვევაში, ავსტრიის ტარიფი რუსეთის ახალ ტარიფს წააგავს,—არც იქაა აღნიშნული ვადა. ორივე სახელმწიფო სწორედ სავაჭრო იარაღით აღიჭურვა, თითქოს უნდოდა დაენახვებია, ვისიც ჯერ იყო,—თუ ფეხი გადმოსდგი, ჩვენც აქ დაგხვდებით ჩასაფრებულნიო.

ავსტრია-უნგრეთის საბაჟო ტარიფის პროექტში მსხვილის ანბანითაა აღნიშნული,—მთავრობას არავითარი სურვილი არა აქვს ეხლანდელი ტარიფი შესცვალოსო; პირიქით, წრფელის გულითა ჰსურს განაგრძოს არსებული სავაჭრო პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად სატარიფო ხელშეკრულობა უდევსო.

ავსტრია-უნგრეთის უმაღლესს წრეებში უფრო იმ აზრისა არიან, რომ საბაჟო ხელშეკრულობა უეჭველად მოხდებაო მხოლოდ, ისიც აჯობს გარეშე, რომ რაოდენობა გერმანიის საქონლისა ავსტრია-უნგრეთში შესამჩნევად იკლებს, თუ სამაგიეროდ მეტი შედავათი არ მისცა ავსტრია-უნგრეთის საქონელს, რომელიც გერმანიაში უნდა გაიგზავნოს.

კიდევ უფრო საადვილოდ მიაჩნია ავსტრია-უნგრეთს იტალიასთან დადებულ ხელშეკრულობის განახლება, და იმედი აქვს—უმთავრეს სადაო საგანსაც შემოგვევლი თავსაო (იტალიურ ღვინოებზედ მეტად მცირე გადასახადია ავსტრია-უნგრეთში და ამასა სჩივიან ადგილობრივი მემამულენი).

რასაკვირველია, ყველასთვის ცხადია, რომ ახალი საბაჟო ტარიფის პროექტები, რომელთა თავი და-თავი აზრი შინაურ წარმოება-მრეწველობის მფარველობაა, დიდს გასაჭირს უქადის მხმარებელ ხელმოკლე ხალხსა, რომელთა მოთხოვნილებას ყურიც-კი არ ათხოვეს პირობებზე მოლაპარაკების დროს, მაგრამ, ზოგი ჭირი მარგებელია. როგორც მაგალითით ვიცით, შეიარაღებულ პოლიტიკურ მშვიდობიანობას მოჰყვა ჯერ ორთა-კავშირი და მერმე სამთა-კავშირი; გარდა ამისა, ერთს კავშირში მონაწილენი მეორე კავშირში მონაწილეთ მიემხრნენ ზოგიერ საკითხთა შესახებ, მაგ., ავსტრია-რუსეთი და საფრანგეთ-იტალია. მოსალოდნელია, რომ შეიარაღებულმა საეკონომიო ანუ სავაჭრო-საპოლიტიკო მშვიდობიანობამაც გამოიწვიოს შეერთება-შეთანხმება სხვა-და-სხვა სახელმწიფოებში. შეიძლება, გერმანია მალე დარწმუნდეს, რომ დიდი ბაჟი უცხოეთის საქონელზე თვით გერმანიის მსოფლიო პოლიტიკას დააზიანებს და ის მილიარდებიც დააკლდება, რომელსაც საზღვარ-გარედ გასაღებულ საქონელში იღებდა.

თუ ახალ სავაჭრო ხელშეკრულობათა დადებას საგრძნობელი დაბრკოლება რამ გადაეღობა წინ, მალე მოვლენ ყველანი გონს; მოხუცი-ევროპა კარგა ხანია დასწყია ამერიკის მეტოქეობამ მსოფლიო სამეურნეო და სამრეწველო ბაზარზე. განცალკევების მაგივრად ევროპის სახელმწიფონი უნდა შეერთდნენ და ისე გაუმკლავდნენ ზღვას-გაღმელ მეტოქეს. გერმანიის დიდ წარმოებას არ შეუძლია არსებობა, თუ ნაწარმოებს გასავალი არ ექნა; მხოლოდ, თუ საბაჟო ომი ასტყდა მეტად შემცირდება იმ ბაზართა რიცხვი, სადაც დღემდე გერმანიის საქონელი საღდებოდა. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავსტრია-უნგრეთის, რუსეთისა და სხვა სახელმწიფოების მიერ მიღებული ღონის-ძიებანი ჯეროვან გავლენას იქონიებს გერმანიის საბაჟო პოლიტიკაზე.

**ინგლისი.** თებერვლის სამს ლონდონის გაზეთებს მიუღიათ ნიუ-იორკიდგან დეპეშები შემდეგის შინაარსით: „ცნობილ მილლიარდერმა, კარნეჯიმ წერილით აუწყა ბოვენს,—მზადა ვარ გადავუხადო ბოვენს 360 ათასი დოლლარი, რომლითაც დააკმაყოფილებს გერმანიის მოთხოვნილებას, თუ ამ საქმეს ვენესუელა მიიღებსო. ბოვენმა დიდი მადლობა გადუხადა კარნეჯის, მაგრამ მისი წინადადება-კი უარ ჰყო, რადგან, ბოვენის სიტყვით, ვენესუელას იმოდენი შეძლება-კი აქვს, რომ, რაც ვალად დაიდო, ადვილად გადაიხდის კიდეცაო. ბოვენმა გამოაცხადა გაზეთებში—ბევრმა სხვა ბანკმაც განაცხადა სურვილი ვენესუელას დახმარებისაო. ინგლისური ჟურნალ-გაზეთობა დიდად გაახარა ვენესუელას საქმის დაბოლოვებამ.

**ოსმალეთი.** კენიგსბერგის გაზ. „Hart. Zeit.“-ში მოთავსებულია სტამბოლიდან მიღებული დეპეშა:

„სტამბოლში მყოფ რუსეთის საელჩოს მიტროვიციდან აცნობეს:—ალბანელებმა განიზრახეს რუსეთის კონსულ შჩერბინის მოკვლაო. ამაზედ პორტამ განაცხადა, რომ ოსმალთა მოხელეებს ნაბრძანები აქვთ,—მეტად ფრთხილად მოიქცეთ, რუსეთის კონსულს არავინ შეეხოსო.

## სამეცნიერო წერილები.

### ვირის რძე ძუძუ-მწოვარ ბავშვთათვის.

ბედნიერია ის დედა, რომელსაც შეუძლიან გამოზარდოს შვილი თავის ძუძუთი!

სამწუხაროდ, ჩვენს დროში, დედები თანდათან იშვიათად აწოვებენ ძუძუს თავისს ღვიძლს შვილებს. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ ძუძუ-მწოვარ ბავშვთა გარდაცვალებულთა რიცხვი ყოველ წლივ შეადგენს ნახევარ ნაწილს გარდაცვალებულთა მთელის რიცხვისას დედა-მიწაზედ.

ბევრი დედა არ აწოვებს ძუძუს იმიტომ, რომ არ უნდა შეიწუხოს თავი, არ უნდა მოსცდეს ნადიმ-სადამოებს და თეატრს. ამით თქმა არ უნდა, უფრო ნაკლები შრომა და ზრუნვა აქვს დედას, რადგან მაშინ ბავშვს ან ძიძა ზრდის, ან მოსამსახურე დედაკაცი ძროხის რძეს ასმევს.

ბევრიც იმიტომ არ აწოვებს ძუძუს ბავშვს, რომ ჯანით სუსტია და მართლა, ან სულ არა აქვთ რძე ძუძუში, ან ძლიერ ნაკლებად აქვთ.

ეხლანდელი ქალები ისეთს ჭაპან წყვეტაში არიან, როგორც ვჟებით: მთელ თავისს ახალგაზრდობას სკოლაში ატარებენ, მოკლებულნი არიან სუფთა ჰაერს, ჯან-ღონის ვარჯიშობას და მთელ საათობით ჩაჰკირკიტებენ წიგნებს, რის გამოც მთელი სხეული ეჩაგრებათ და ყოველი ორგანო სხეულისა მოდუნებული აქვთ. ამგვარი დედა, რასაკვირველია, ვერ შესძლებს გამოზარდოს შვილი თავის ძუძუთი.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მემკვიდრეობას:

Bunge-ს აზრით, ვაჟმა არ უნდა შეირთოს ის ქალი, რომელიც დედის ძუძუთი არ ყოფილა გამოზრდილი, არც იმ ქალს ექმნება რძე, რომელიც ჩლექიან ოჯახიდგანაა, ან და სულით ავადმყოფი და ლოთი ნათესავები ჰყავს; იმ ქალსაც გადაგვარების ნიშანი აზის, რომელსაც ახალგაზრდობაშივე კბილები აქვს დაჭმული.

ბავშვის ძუძუთა გამოზრდა აუცილებელი ბუნებრივი მოვლენაა.

ბავშვის ძუძუთი გამოზრდა, თვით დედის სხეულის ჯანმრთელობისთვის ფრიად სასარგებლოა; ყოველ მისს სხეულის უჯრედებს სიცოცხლის ძალა ემატება. გარდა ამისა, ძუძუს წოვება ფრიად სასარგებლოდ მოქმედობს დედის საშვილოსნოზედ; ძლიერ იშვიათად, რომ ამგვარი დედა საშვილოსნოს ავადმყოფობით გახდეს ავად.

როდესაც დედას რძე არა აქვს და არც ძიძის დაჭერა შეუძლიან, იძულებულია მიჰმართოს პირუტყვის რძეს.

ამ შემთხვევაში შემდეგ გარემოებას უნდა მიაქცეს ყურადღება: თვით პირუტყვი უნდა იყოს ჯანმრთელი, მისი რძე დედაკაცის რძეს უნდა წააგავდეს და მასთან ბავშვის სამყოფი რძეც უნდა ჰქონდეს.

თითქმის ყველგან ძროხის რძეს ხმარობენ ძუძუთა ბავშვის გასაზრდელად, მაგრამ ვირის რძე გაცილებით უფრო მარგებელია და უფრო ადვილი მოსანელებელიცაა ბავშვისთვის, ვიდრე ძროხის რძე. არც ერთი პირუტყვის რძე ისე არ წააგავს დედაკაცის რძეს, როგორც ვირის რძე. ქიმიურმა გამოკვლევამ ნათლად დაგვანახვა, რომ ვირის და დედაკაცის რძეს შუა ძლიერ მცირე განსხვავებაა. ხოლო ძროხის რძეში ორჯერ უფრო მეტია ცილის მაგვარი ნივთიერება, ვიდრე დედაკაცის რძეში, მარილი სამჯერ უფრო მეტია, სიტკბოთი-კი ძროხის რძე უფრო დაბლა სდგას დედაკაცის რძეზედ, სიმსუქნე ორივეს რძეში ერთგვარია. ამიტომ ძუძუთა-ბავშვს თქვენ ვერ მისცემთ წყალ-გაურეველ რძეს. ახალ დაბადებულისთვის, მაგალითად, ერთ ნაწილ რძეზედ უნდა აიღოთ სამი ნაწილი ადუღებული წყალი და მასთან ცოტა შაქარიც უნდა მიუმატოთ.

ვირის რძეს წყლის მიმატება არა ესაჭიროება, იგი უნდა აძლიოთ ძუძუთა ბავშვს უწყლოთ ახლად მოწველილი და აუდუღებელი.

ძროხის რძე ძუძუთა ბავშვის კუჭში შედედდება დიდ მაგარ ნაფლეთებათ, მამასადამე, მონელებაც უფრო ძნელია, ხოლო დედა-კაცის რძე-კი შედედდება კუჭში ნაზ და პატარ-პატარა ნაფლეთებათ; სწორედ ამ გვარი თვისება აქვს ვირის რძესაც, მამასადამე ეს რძე უფრო ადვილი მოსანელებელი ყოფილა ძუძუთა ბავშვისთვის.

მრავალ დაკვირვებით სჩანს, რომ ვირის რძე ძლიერ ხეიროვიერი და მარგებელი ძუძუთა ბავშვისთვის ორ თვემდე, ხოლო შემდეგ-კი ვეღარ აკმაყოფილებს მას და საჭიროა რძის გამოცვლა.

კერძოდ ჩვენც გვქონია რამდენიმე შემთხვევა, რომ როდესაც ძუძუთა ბავშვს ვერ აუტანია ძროხის რძე და ძლიერ მძიმედ გამხდარა კუჭის ავადმყოფობით, ვირის რძეს რამდენსამე დღეში მოურჩენია ბავშვი.

ვირის რძე შეგიძლიანთ აძლიოთ იმდენი, რამდენსაც აწოვებენ დედა-კაცის რძეს.

ვირის რძას ძლევა დაიწყეს ძუძუთა ბავშვს მე-XIX საუკ. დამდეგს, მამასადამე, როგორც სჩანს, დაკვირვებაც ამ რძის შესახებ ხან-გრძლივია. ალჟირში, მაროკკოსა და ინდოეთში ამრავლებენ ვირებს რძის სახმარებლად; ვირის რძეს ამ ქვეყნებში. სვამენ როგორც პატარები ისე დიდებიც. იტალიაში, პალერმოს ახლო, ვირის რძით ყველს ამზადებენ. გერმანიაში ჩლექიანებს ვირის რძეს ასმევენ.

ვირი, დანარჩენ პირუტყვთა შორის, მით არის შესანიშნავი, რომ ძლიერ ამტანია მუშაობისა და მასთან საკვირველი ჯანმრთელია.

ჩლექი, რომელიც ისე ხშირია ძროხებ შორის, სრულებით ვერას აკლებს ვირის სხეულს. ამ თვისებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ძუძუთა ბავშვის გამოზრდაში. ჩვენ არა ერთხელ გვქონია ბაასი მის შესახებ, თუ რა დიდი განსაცდელი ელის მუდამ ძუძუთა ბავშვს, როდესაც იზრდება ძროხის რძით, რადგან ძლიერ შესაძლოა, თუ ძროხა ჩლექიანია, ბავშვიც ავად გახდეს ჩლექით რძის წყალობით.

ხოლო როდესაც ბავშვი ვირის რძით იკვებება, მაშინ ამ გვარი განსაცდელი აღარ მოელის. აი ამიტომ სრულებით საჭირო აღარ არის ვირის რძის ადუღება; საკმარისია აძლიოთ თბილ-თბილი ახლად მოწველილი ვირის რძე.

მდაბიო ხალხი ვირის რძეს აწერს რაღაც განკურნავ თვისებას და სთვლის წამლად ჩლექიანებისთვის და საზოგადოდ ყველასთვის, ვინც დაუძლურებულია ხანგრძლივის ავადმყოფობით.

ექიმი ბადრიძე.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

12 თებერვალი.

**პეტერბურგი.** მთავრობის განცხადება: „წარსულ წლის 30 ნოემბერს გამოქვეყნებულ მთავრობის განცხადებაში უკვე აღნიშნული იყო ის გარდაწყვეტილებანი, რომელიც რუსეთმა მიიღო ბალკანეთში არეულობის მოსასპობლად. რუსეთის საიმპერატორო მთავრობა ბეჯითად ადევნებდა თვალ-ყურს ერთ მორწმუნე ერების ცხოვრებას ოსმალეთში და ყოველთვის ურჩევდა ოსმალეთს დაუყოვნებლივ შესდგომოდა სოლუნის, კოსსოვას და მონასტირის ვილაიეტებში მცხოვრებ ქრისტიანთა მდგომარეობის გაუმჯობესობას. წარსულ წლის ოქტომბერში კონსტანტინეპოლიდან დაბარებულ იქმნა რუსეთის ელჩი, რომელსაც დაევალა შეიმუშაოს უსაჭიროეს რეფორმების პროექტი და ეცადოს მათ განხორციელებას, რათა ძირიანად მოისპოს ბალკანეთში მცხოვრებთა უკმაყოფილების მიზეზი. ამგვარივე რჩევა მიეცა ლივადიაში გამოგზავნილს ოსმალეთის საგანგებო ელჩს თურხან-ფაშას. ოსმალეთის მთავრობამ თანხმობა გამოაცხადა რუსეთის მეგობრულ რჩევის ასრულებაზედ. 1902 წლის ნოემბერში გამოცხადდა სულთანის ირადე რეფორმების შესახებ, მაგრამ აღთქმული ღონისძიებანი საკმარისი არ იყვნენ და ოსმალეთის საქრისტიანო ვილაიეტებში მშვიდობიანობას ვერ დაამყარებდნენ. მეორეს მხრით, მიუხედავად მეგობრულის რჩევისა, რომელიც მიეცა ბალკანეთის ნახევარ კუნძულის სახელმწიფოებს, არ სცხრებოდა სარევოლიუციო კომიტეტების აგიტაცია, რომლით ხალხს აქეზებდნენ კანონიერ მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. საქმეთა ასეთ საშიშ მდგომარეობის გამო, გარეშე საქმეთა მინისტრს დაევალა წასულიყო სერბიასა და ბულგარიაში და იმპერატორის სახელით შემდეგი ეცნობებინა მეფე ალექსანდრესა და მთავარ ფერდინანდისათვის:

რუსეთი, რომელიც მუდამ ზრუნავდა ოსმალეთის ქრისტიან ქვეშევრდომთათვის, ახლაც ყოველ ღონისძიებას ხმარობს აიძულოს ოსმალეთი და რეფორმები მოახდინოს ოსმალეთის ევროპიულ ვილაიეტებში. ამის აღსასრულებლად უეჭველად საჭიროა სლავიანთა სახელმწიფოებმა მშვიდობიანობა დაიცვან ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე და წინაღუდგნენ სარევოლიუციო კომიტეტების მოქმედებას. თუ ასე მოიქცევიან, მაშინ შეუძლიანთ იმედი იქონიონ რუსეთის ძლიერის დახმარებისა. სერბიის მეფემ და ბულგარიის მთავარმა უმაღლესის რჩევის პასუხად განაცხადეს თანხმობა და აღუთქვეს გრაფ ლამზდორფს, რომ ყოველ ღონისძიებას იხმარენ სარევოლიუციო კომიტეტების მოქმედებას მოსასპობლად და მოუცდიან რუსეთის მეცადინეობის შედეგს ოსმალეთის ქრისტიან ქვეშევრდომთა სასარგებლოდ. სერბიისა და ბულგარიის მთავრობათ ეს დაპირება ასრულეს და იმპერატორის მთავრობამ კიდეც მოუწონა ბულგარიას სარევოლიუციო კომიტეტების საწინააღმდეგო ზომების მიღება. სერბიასა და ბულგარიაში მოგზაურობის შემდეგ, გრაფი ლამზდორფი უმაღლესის ნებართვით ვენას წავიდა. იქ ორ მეზობელ და მეგობარ იმპერიების გარეშე საქმეთა მინისტრებმა, 1897 წლის შეთანხმების ძალით შეიმუშავეს უმთავრესნი საფუძველნი იმ რეფორმებისა, რომელნიც შემოღებულ უნდა იქმნას ზემოხსენებულ სამ ვილაეტში. ამგვარად შემუშავებული პროექტი წარსულ იანვრის დასაწყისში ეცნობა რუსეთისა და ავსტრო-უნგრეთის ელჩებს კონსტანტინეპოლში, და მიენდო იმის თანახმად შეიმუშავონ რეფორმების დაწვრილებითი გეგმა. ზინოვიევისა და კალიჩეს მიერ შემუშავებული გეგმა მოწონებულ იქმნა ორივე მთავრობისაგან და 4 თებერვალს გაეგზავნა იმ სახელმწიფოებს, რომელთაც ხელი მოაწერეს ბერლინის ტრაქტატს; მათ სთხოვა, თუ მოიწონებენ რეფორმებს, დაეხმარონ რუსეთსა და ავსტრიას პროექტის განსახორციელებლად. საფრანგეთმა, იტალიამ, გერმანიამ და ინგლისმა თანხმობა განუცხადეს ამაზე. ამის შემდეგ რუსეთისა და ავსტრია-ჰუნგრეთის ელჩებს წარედგინათ სულთანისათვის განზრახულ რეფორმების გეგმა რომელიც უმთავრესად შემდეგში გამოიხატება: რეფორმების განსახორციელებლად ინიშნება მთავარი ინსპექტორი მტკიცედ განსაზღვრულის ვადით, რომლის შესრულებამდე ოსმალეთს ნება არა აქვს გამოსცვალოს იგი სახელმწიფოთა დაუკითხავად. მთავარ ინსპექტორს ნება ექმნება ისარგებლოს ოსმალეთის ჯარებით, როცა საჭირო იქნება, ცენტრალურ მთავრობის დაუკითხავად. ხსენებულ 3 ვილაიეტის გენერალ-გუბერნატორებმა უნდა ასრულონ მთავარ-ინსპექტორის ყველა დავალებანი. პოლიციისა და ადმინისტრაციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაკეთებისათვის მოწვეულ უნდა იქმნან უცხოელი სპეციალისტები. ადმინისტრაციაში უნდა მსახურებდნენ მაჰმადიანნიც და ქრისტიანნიც, მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით. სოფლის მამასახლისები ქრისტიანები უნდა იყვნენ იქ, სადაც ქრისტიანეთა რიცხვი სჭარბობს. რადგან ვილაიეტებში არეულობის გამო ბევრი დაატუსაღეს, ოსმალეთმა ქვეყნის დასამშვიდებლად უნდა გაანთავისუფლოს ისინი. ადგილობრივ დაწესებულებათა წესიერ მოქმედებისათვის ყოველ ვილაიეტში შემუშავებულ იქმნება შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა. ადგილობრივი გადასახადები თავდაპირველად მოხმარდება ადგილობრივსავე საჭიროებას. გადასახადის აკრეფის იჯარით გაცემა მოისპობა. ოსმალეთის მთავრობამ შეიწყნარა წარმოდგენილი პროექტი და უბრძანა ადგილობრივ მმართველობას დაუყოვნებლივ შეუდგეს რეფორმების განხორციელებას. ამასთანავე განზრახულია ელჩების ხელმძღვანელობით გულდაგულ თვალყური ადევნონ რეფორმების განხორციელების საქმეს. აცნობებს რა თავისს მეცადინეობის ამ შედეგს სლავიანთა სახელმწიფოებს, იმპერატორის მთავრობა დარწმუნებულია, რომ ისინი ხელს შეუწყობენ ბალკანეთის ქვეყნებში მშვიდობიანობის დამყარებას. მათ არ უნდა დაივიწყონ, რომ რუსეთი თავის შვილთა ერთს წვეთს სისხლსაც არ დაჰღვრის, იოტის ოდენსაც არას უმსხვერპლებს ხალხის ავლა-დიდებიდან, თუ სლავიანთა სახელმწიფოები მოიწადინებენ რევოლიუციისა და ძალმომრეობის საშუალებით ბალკანეთის ნახევარ კუნძულის წეს-წყობილების შეცვლას“.

**სტამბოლი**. 10 თებერვალს გამოცხადდა სულთანის ირადე მაკედონიაში რეფორმების პროექტის მიღების შესახებ.

**სარატოვი**. საბჭომ დაადგინა აიღოს 600,000 მანეთი სესხი ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლად.

**ლონდონი**. ბუულსის შეკითხვაზედ კრანბორნმა უპასუხა, ინგლისის ელჩმა თეირანში მიიღო სარწმუნო ცნობანი, რომ ინგლისს დიდი გავლენა ექმნება ინგლისის ვაჭრობის ტარიფის შეცვლის საქმეში.

**ვენა**. „Tr.“ შეუდგა მაკედონიის რეფორმათა პროექტის განხილვას და აცხადებს, გოლუხოვსკის უკანასკნელმა მოლაპარაკებამ და რუსეთთან შეთანხმებამ 1897 წელს მოიტანა დიდი ნაყოფიო. პორტა წარსულის დეკემბრის რიცხვებში იძულებული გახდა მდგომარეობის გაუმჯობესებას შესდგომოდაო; რევოლიუციონერთა დასამშვიდებლად კარგს ღონისძიებას მიჰმართა და ახლაც საქმე კარგად წავა, თუ ისე მოიქცნენ, როგორც განზრახულიაო. ამ ჟამად მშვიდობიანობის ჩამოგდება შესაძლებელია შეთანხმებით და არა ძალდატანებითა და იმედიც არის, ასე მოხდებაო.

**პეტერბურგი**. 11 თებერვალს ერმიტაჟის თეატრში უმაღლეს დასწრებით გაიმართა წარმოდგენა. ხელმწიფე იმპერატორს ეცვა სადარბაზო ტანისამოსი მეფის ალექსი მიხეილის ძისა, ხელმწიფე იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულს სამოსელი დედოფლის მარიამ ილინიშნისა, ალექსი მიხეილისძე პირველის მეუღლისა, დიდ მთავართ ეცვათ ხალათები იმავე დროისა, დიდ მთავარს კოსტანტინე კოსტანტინეს ძე—სტრელეცკის თივის საცმელი, სასახლის მინისტრს—გეტმანის საცმელი. ვახშმის შემდეგ გაიმართა ცეკვა—რუსული; მონაწილეობას იღებდა 16 წყვილი, მერე იყო კოტილიონი. მეჯლისი დასრულდა 2 საათზე.

13 თებერვალი

**პრაგა**. საქსონიის შვეიცარიაში, გრანიცასა და მის მიდამოებში ძლიერი მიწის ძვრა იყო, ზარალი არა მომხდარა-რა.

**ბერლინი**. „ლოკ. ანკ.“ სიტყვით კილში ჩაუშვიათ გემი „პრინც. ევგ. ოლდენბურგსკისა“ რუს. სანავ. საზოგადოებისათვის.

**სტამბოლი**. ირადეთი ნაბძანებია გაიხსნას განყოფილებანი ოტამანის ბანკის მონასტირში და უსკიუბში.

სწრაფი მიღება ნოტასი გამოწვეულია, უცხო სახემწიფოთა სათანაგრძობო დამოკიდებულების გავლენის გარეშე, აგრედვე დიდის ვეზირის რჩევითა და რუსეთ-ავსტრო-უნგრეთის ელჩების მტკიცე მოქმედების გამო.

**ოდესა**. 15 თებერვალს მოქმედებას დაიწყებს ტელეფონი ოდესასა და კიშინიოვის შორის. 20 თებერვალს დაიწყება უმავთულო დეპეშების მიმოსვლა ხერსონსა და გოლაია პრისტანის შორის. სამედიცინო ფაკულტეტზედ დაიწყო ეკზამენები მედიცინის დოკტორის ხარისხის მისაღებად.

**პეტერბურგი**. ცალკე ნომრებად გაყიდვა „პეტერბურგის ვედომოსტისა“ აღკრძალულია.

### პეტერბურგის ბირჟა, 11 თებერვალს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | — |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები | 94,90 |
| ბერლინში ,, | 46,27 $^1/_2$ |
| პარიჟში ,, | 37,72 $^1/_2$ |
| ბირჟის დისკონტი | 5—6 $^1/_2$% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 98 $^1/_4$ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | 100 $^3/_4$ მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 95 მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 456 $^3/_4$ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 362 $^1/_4$ გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 306 $^1/_2$ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4 $^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | 82 $^3/_4$ წვ. გაყ. |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — <br> 90 $^3/_4$ გაყ. |
| 4 $^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | 90 $^5/_8$ გაყ. |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | 9700 გაყ. |
| აქციები ,, ,, ,, ,, | 485 წვ. გაყ. |
| ,,კასპიის ამხანაგობისა. | 432 მყიდ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 201 გაყ. |

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისის).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს**:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს**:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს**:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს**:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ**:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე**:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ**: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ**:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ**: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ**: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ**:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე**:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე**:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე**:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

## განცხადება

## ტფილისის ქალაქის გამგეობისაგ:ნ.

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით, 27 თებერვალს ამა წლისას, 11 საათზედ, დანიშნულია მეორე ვაჭრობა იჯარით გასაცემად მნაცაკანოვის ხიდზედ ეტლების გავლისათვის ასაღებ შემოსავლისა და აგრედვე სხვილ ფეხისა და წვრილ-ფეხის საქონლის ზედ გავლისათვის შემოსავლისაც. ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან პირობანი გაშინჯოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ საქმის დღეს დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ვაჭრობაში მონაწილეთ, სულ ერთია, პირადად მიიღებენ მონაწილეობას, თუ დაბეჭდილ განცხადების გამოგზავნით, უნდა წარმოადგინონ გირაოდ 1500 მ.

დაბეჭდილი განცხადებანი მიიღება მხოლოდ 11 თებერვალს შუადღემდე. (2—6—1)

---

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

---

**ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!**

**ჰიგიენური**

**ბორნო-ტიმოლის საპონი**

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა.**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალისარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა** 50 კ. $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სახაფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში**. (40—6.—3)

---

## ხეხილის ნერგები

საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად

**ფარს. იაკ. ავსარქისოვის მამულში.**

ადრესი: უბრალო წერილებისათვის —„სკრა“, კავკ. რკინის გზის სადგური, ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისა: გორში, ფარს. იაკ. ავსარქისოვს.

კატალოგები მსურველთ გაეგზავნებათ უფასოდ. (6—33—3)

---

## ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა**, თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი**, ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პარტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი**, მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.

---

## გამგეობა

**„ძმათა წოვიანოვებისა** და **კ⁰-ის“ სავაჭრო სახლის საქმებისა** ამით აუწყებს კრედიტორებს, რომ **პირველი დაკმყოფილება** მოვალეებისა 10%-ის **მიცემით** დანიშნულია მის განყოფილების სადგურში 17 თებერვლიდგან ამა წლისა, ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევ 1-ის საათამდე. (2—36—2).

---

## გამგეობა

ქონებათა ცეცხლისაგან დაზღვევის ტფილისის სხურთიერთო

## საზოგადოებისა

პატივის-ცემით აუწყებს საზოგადოების ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამა წლის თებერვლის 23, დილის 11 საათზედ, ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია

## საზოგადო კრება.

განსახილველია და დასამტკიცებელი:

1) ანგარიში გამგეობისა 1902 წლისა.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1903 წლისათვის.
3) მოხსენება გამგეობისა, რომ მიეცეს სესხი პენზის ურთიერთ დამზღვევ საზოგადოებას.

4) გამგეობის ჟურნალი, რომ შემწეობა მიეცეს ტფილისის ქალაქის თვით-მართველობას, რათა მან მოაწყოს მეორე დამოუკიდებელი ცეცხლის მქრობელთა რაზმში.

და 5) არჩევანი თანამდებობის კაცთა საზოგადოების საქმეთა განსაგებელად:

ა) გამგეობის ერთის წევრისა პ. ი. ალიბეგოვის მაგიერ, რომელიც იყო თავმჯდომარედ გამგეობისა და რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს გამგეობის წევრობას.

ბ) გამგეობის წევრების ერთის კანდიდატისა გ. მ. მერაბოვის მაგიერ, რომელსაც აგრეთვე გაუვიდა ვადა კანდიდატობისა.

გ) ზედამხედველ კომიტეტის წევრთა ერთის კანდიდატისა ნ. მ. ოსტროვსკისა და ი. ა მელიქ-ბეგლაროვის მაგიერ, რომელთაც გაუვიდათ ვადა სამსახურისა.

დ) ზედამხედველ კომიტეტის წევრთა ერთი კანდიდატისა ი. მ. ალიხანოვის მაგიერ, რომელიც რიგისამებრ თავს ანებებს სამსახურს.

ე) სარევიზიო კომისიის ორის წევრისა გ. ი. თამამშევისა და კ. მ. გამაზოვის მაგიერ.

ვ) სარევიზიო კომისიის წევრთა ორის კანდიდატისა, მათ შორის ერთი უნდა არჩეულ იქმნას თ. ვ. გ. ბებუთაშვილისა და ზ. დ. მამულოვის მაგიერ.

ამასთანავე გამგეობა პატივის-ცემით აცნობებს ბ-ნთ წევრთ-დამზღვეველთ, რომ

1) იმათ, ვისაც არ შეუძლიან დაესწროს კრებას, ნება აქვთ თავიანთი ხმა გადასცენ ვექილობით მხოლოდ დამზღვეველთ და არა სხვას;

2) ხელის-მოწერა ვექილობის ქაღალდზედ უნდა შემოწმებული იყოს გამგეობის მიერ, ან საზოგადო წესისამებრ;

3) მდედრობითის სქესის წევრთ შეუძლიანთ ვექილობა მისცენ თავიანთ მამებს, ქმრებს, შვილებს, სიძეებს და ღვიძლ ძმებს. იმ შემთხვევაშიაც-კი, როდესაც ყველა ესენი არ ირიცხებიან საზოგადოების წევრებად. ამავე საფუძვლით ირიცხება ვექილობა ჰქონდეთ მამათაგან განუყრელს მათს შვილებს.

და 4) ვექილობანი უნდა წარედგინოს გამგეობას დილის 12 საათზედ არა უგვიანეს საზოგადო კრების წინა დღისა. (2—1)

---

# ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 იანვრის 1903 წლისა.

აქტივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები) | | 21737 | 61 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ. დაწესებ. | | 9866 | 42 |
| III. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | | 13283 | 43 |
| V. სარგებლიანი ქაღალ. საზოგადოების საკუთვნონი: | | | |
| ა) უზრუნველ-ყოფილნი: | 1459—26 | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი: | 7927— | 9386 | 26 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | | 7283 | 19 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | | 287974 | 30 |
| VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით | | 500 | — |
| VIII. განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | | | |
| IX. გირაოთი გაცემული სესხი: | | | |
| ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. | 13829— | | |
| ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. | 33178— | | |
| გ) საქონელზედ | 32615— | | |
| დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ. | 6964— | 86586 | — |
| X. დასაბრუნებელი ხარჯი | | 126 | — |
| XI. მოწყობა და მომართვა | | 2186 | 59 |
| XII. კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) | 57752—90 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 13021—89 | 70774 | 79 |
| XIII. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | | 39 | 75 |
| XIV. სხვა-და-სხვა დებიტორები | | 526 | 45 |
| XV. მიმდინარე ხარჯები. | | 427 | — |
| ბალანსი | | 512091 | 84 |

პასივი.

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 800 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან | | 86446 | - |
| II. სათადარიგო თანხა | | 7608 | 21 |
| III. შემოტანილი ფული: | | | |
| ა) მიმდინარე ანგარიშით | 112280—32 | | |
| ბ) ვადით | 136202—30 | 248982 | 62 |
| გ) უვადოთ | 500 | | |
| IV. გარდასაცემი თანხა. | | 3575 | 47 |
| V. გარდასახდელი სარგებელი | | 2149 | 50 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | | 267 | 97 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად | | 718 | — |
| VIII. კორესპონდენტები: | | | |
| ა) იმათის ანგარიშით (loro) | 9247—66 | | |
| ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) | 37209—71 | 46457 | 37 |
| IX. საგანგებო მიმდინარე ანგარიში | | | |
| ტფ. სახელ. ბანკის განყოფ. | 26195—97 | | |
| სხვა ბანკებში | 48—42 | 28244 | 39 |
| XII. გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში | 30000 | | |
| სხვა ბანკებში | 46730 | 76730 | — |
| | | | 65 |
| XIII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა | | 3860 | 65 |
| XVI. წმინდა მოგება 1901 წლისა. | | 7051 | 66 |
| ბალანსი. | | 512091 | 84 |
| პასუხის-მგებლობა 809 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ. | | 778014 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | | 9800 | — |
| თამასუქები საკომისიოდ. | | 1512 | 40 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 февраля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамизе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.